

დანართი I

სათანადო ზრუნვის ვალდებულებები აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიშების იდენტიფიცირებისა და ანგარიშგებისთვის და კონკრეტული არამონაწილე ფინანსური დაწესებულებების გადახდებისთვის

I. ზოგადი ნაწილი.

ა. (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო)

უნდა მოითხოვოს, რომ ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებებმა გამოიყენონ სათანადო ზრუნვის პროცედურები, რომლებიც გათვალისწინებულია დანართი I-ით, რათა მოხდეს აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიშების და არამონაწილე ფინანსური დაწესებულებების მფლობელობაში არსებული ანგარიშების იდენტიფიცირება.

ბ. ამ შეთახმების მიზნებისთვის,

1. ყველა დოლარის ოდენობა მოცემულია აშშ დოლარში და იგულისხმება, რომ ის მოიცავს ექვივალენტს სხვა ვალუტებში.

2. თუ სხვაგვარად არ იქნა დარეგულირებული, ანგარიშის ბალანსი ან ღირებულება განისაზღვრული იქნება კალენდარული წლის ან სხვა სათანადო საანგარიშო პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით.

3. იქ სადაც მოცემული დანართის შესაბამისად, ბალანსის ან ღირებულების ბოლო საანგარიშო თარიღად უნდა განისაზღვროს 2014 წლის 30 ივნისი, შესაბამისი ბალანსი ან ღირებულება განისაზღვრება ამ დღის ან საანგარიშო პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით, რომელიც სრულდება უშუალოდ 2014 წლის 30 ივნისამდე, და მაშინ, როდესაც, მოცემული დანართი I-ის შესაბამისად, ბალანსის ან ღირებულების ბოლო საანგარიშო თარიღი უნდა განისაზღვროს კალენდარული წლის ბოლო დღის მდგომარეობით, შესაბამისი ბალანსი ან ღირებულება განისაზღვრება კალენდარული წლის ან სხვა სათანადო საანგარიშო პერიოდის ბოლო დღით.

4. ანგარიში, რომელიც გათვალისწინებულია ამ დანართის II განყოფილების ქვეპუნქტი „ე“(1)-თი, ჩაითვლება აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშად, რომელიც იწყება მისი ასეთად იდენტიფიცირების თარიღიდან, დანართი I-ით გათვალისწინებული სათანადო ზრუნვის პროცედურების შესაბამისად.

5. თუ სხვაგვარად არ იქნა დარეგულირებული, აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ ანგარიში წარდგენილ იქნება

ყოველწლიურად, კონკრეტულ კალენდარულ წელს, რომელიც მოსდევს იმ წელს, რომელსაც ეხება ინფორმაცია.

გ. დანართი I-ის თითოეულ განყოფილებაში აღწერილი პროცედურების ალტერნატივის სახით, (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის საფუძველზე საქართველომ შესაძლოა ნება დართოს ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის საქართველოს ფინანსურ დაწესებულებებს დაეყრდნონ აშშ-ს ხაზინის დებულებას იმის დასადგენად არის თუ არა ანგარიში აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიში თუ იგი წარმოადგეს არამონაწილე ფინანსური დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ანგარიშს. (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსურ დაწესებულებას) შესაძლოა ნება დართოს ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსურ დაწესებულებებს გააკეთონ ამგვარი არჩევანი დასაბუთებლად (როგორცაა, ბიზნეს ხაზი ან ლოკაცია (ადგილმდებარეობა), სადაც ინახება ანგარიში).

II. წინასწარ არსებული ანგარიშები. შემდეგი წესები და პროცედურები გამოიყენება წინასწარ არსებულ ანგარიშებში, აშშ ანგარიშგებას დაქვემდებარებული იმ ანგარიშების განსაზღვრისთვის, რომლებიც ფიზიკური პირების მფლობელობაშია („წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიშები“).

ა. ანგარიშები, რომლებიც არ საჭიროებს გადახედვას, იდენტიფიცირებას ან ანგარიშგებას. თუ ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად თუ საქართველოს ფინანსური დაწესებულება სხვაგვარად არ აირჩევს, როგორც ყველა წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიშების მიმართ, ისე, ცალკე, ნებისმიერი ასეთი ანგარიშების მკვეთრად განსაზღვრული ჯგუფის მიმართ, სადაც განხორციელების წესები (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის საფუძველზე საქართველო) არეგულირებს ამგვარ არჩევას, შემდეგი წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიშები არ საჭიროებს გადახედვას, იდენტიფიცირებას ან ანგარიშგებას, რადგან აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიშები რეგულირდება:

1. ამ განყოფილების ქვეპარაგრაფი „ე“(2)-ით, წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიშები, რომელთა ბალანსი ან ღირებულება, 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით არ აღემატება 50,000 აშშ დოლარს.
2. ამ განყოფილების ქვეპარაგრაფი „ე“(2)-ით, წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიშები, რომლებიც წარმოადგენს ფულადი სახსრების ღირებულების დაზღვევის ხელშეკრულებას ან ანუიტეტის ხელშეკრულებას, 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბალანსით ან ღირებულებით 250,000 აშშ დოლარის ან უფრო ნაკლები ოდენობით.
3. წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიში, რომელიც წარმოადგენს ფულადი სახსრების ღირებულების დაზღვევის ხელშეკრულებას ან ანუიტეტის ხელშეკრულებას, იმ პირობით, რომ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) ან აშშ-ს კანონი ან რეგულაციები ეფუძნება ალკვეთს აშშ-ს რეზიდენტებზე ამგვარი ფულადი სახსრების ღირებულების დაზღვევის ხელშეკრულების ან ანუიტეტის ხელშეკრულების გაყიდვას (მაგ., იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის ფინანსურ დაწესებულებას არ

აქვს საჭირო რეგისტრაცია აშშ -სა და (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) კანონმდებლობის შესაბამისად, ეს მოითხოვს ანგარიშის წარდგენას ან დაკავებას (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) რეზიდენტების მფლობელობაში არსებულ სადაზღვევო პროდუქტებთან მიმართებაში.

4. სადეპოზიტო ანგარიში 50,000 აშშ დოლარის ან უფრო ნაკლები ბალანსით.

8. იმ წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიშების გადახედვის პროცედურები, რომელთა ბალანსი ან ღირებულება, 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აჭარბებს 50,000 აშშ დოლარს (250,000 აშშ დოლარის ფულადი სახსრების ღირებულების დაზღვევის კონტრაქტისა და ანუიტეტის კონტრაქტისთვის), მაგრამ არ აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს („დაბალი ღირებულების ანგარიშები“).

1. ელექტრონული ჩანაწერის ძიება. ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა გადახედოს ელექტრონულად საძიებო მონაცემებს, რომლებიც შენახულია ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) ფინანსური დაწესებულების მიერ ნებისმიერი შემდეგი აშშ-ს განმასხვავებელი ნიშნებისთვის:

ა) ანგარიშის მფლობელის იდენტიფიცირება აშშ-ს მოქალაქედ ან რეზიდენტად;

ბ) აშშ-ს დაბადების ადგილის ცალსახად განსაზღვრა;

გ) ამჟამინდელი აშშ-ს საფოსტო ან საცხოვრებელი ადგილი (მათ შორის, აშშ-ს საფოსტო ყუთის მითითებით);

დ) ამჟამინდელი აშშ-ს ტელეფონის ნომერი;

ე) მუდმივმოქმედი ინსტრუქციები თანხების აშშ-ში არსებულ ანგარიშზე გადასარიცხად;

ვ) ამჟამად ძალაში მყოფი მინდობილობა ან ხელმოწერის უფლებამოსილება მინიჭებული პირისთვის, რომელსაც აშშ-ში აქვს საცხოვრებელი ადგილის მისამართი; ან

ზ) „დროებითი (დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) საფოსტო“ ან „ფოსტის შენახვის“ მისამართი, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ მისამართს, რომელიც ანგარიშის მფლობელისთვის ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) ფინანსურ დაწესებულებას აქვს მითითებული. წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიშის არსებობის შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს დაბალი ღირებულების ანგარიშს, აშშ-ს ფარგლებს გარეთ არსებული „დროებითი (დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) საფოსტო“ ან „ფოსტის შენახვის“ მისამართი არ განიხილება აშშ-ს განმასხვავებელ ნიშნად.

2. იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი აშშ-ს განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც მოცემულია ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „ბ“(1)-ში არ არის ნაპოვნი ელექტრონულ ძიებაში, მაშინ არანაირი შემდგომი მოქმედებები არ მოითხოვება მანამ სანამ არ შეიცვლება გარემოებები, რომლებიც იწვევს ერთი ან მეტი აშშ-ს განმასხვავებელი ნიშნის ასოცირებას მოცემულ ანგარიშთან, ან ეს ანგარიში ხდება მაღალი ღირებულების ანგარიში, რომელიც აღწერილია ამ განყოფილების პარაგრაფ „დ“-ში.

3. იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი აშშ-ს განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც მოცემულია ამ განყოფილების პარაგრაფ „ბ“(1)-ში, ნაპოვნი ელექტრონულ ძიებაში, ან თუ მოხდა ცვლილება გარემოებებში, რომლებიც იწვევს ერთი ან მეტი აშშ-ს განმასხვავებელი ნიშნის ასოცირებას მოცემულ ანგარიშთან, მაშინ ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა მიაკუთვნოს ანგარიში აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშს, გარდა იმ შემთხვევისა თუ ის აირჩევს ამ განყოფილების ქვეპარაგრაფი „ბ“(4)-ის გამოყენებას და ამ ქვეპარაგრაფის ერთ-ერთი, გამონაკლისი გამოიყენება ამ ანგარიშთან დაკავშირებით.

4. მიუხედავად აშშ-ს განმასხვავებელი ნიშნის აღმოჩენისა ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „ბ“(1)-ის შესაბამისად, ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) ფინანსურ დაწესებულებას არ მოეთხოვება ამ ანგარიშის მიკუთვნება აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიშისთვის, შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც ანგარიშის მფლობელის ინფომაცია ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს აშშ-ს დაბადების ადგილს, ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსური დაწესებულება მოიპოვებს, ან მანამდე გადახდილი აქვს და ინახავს შემდეგ ჩანაწერ(ებ)ს:

(1) თვითდამოწმებას, რომ ანგარიშის მფლობელი არ არის არც აშშ-ს მოქალაქე და არც აშშ-ს რეზიდენტი; საგადასახადო მიზნებისთვის, (რაც, შესაძლებელია, იყოს საერთაშორისო შემოსავლების სამსახურის ფორმა W-8-ზე, ან სხვა მსგავს შეთანხმებულ ფორმაზე);

(2) არა აშშ-ს პასპორტს ან სხვა მთავრობის მიერ გაცემულ, ანგარიშის მფლობელის მოქალაქეობის ან ეროვნების დამადასტურებელ პირადობის მოწმობას, აშშ-ს გარდა სხვა ქვეყანაში; და

(3) ანგარიშის მფლობელის მოწმობას აშშ-ს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ, ან დასაბუთებულ განმარტებას შემდეგზე:

(ა) მიზეზი იმისა თუ რატომ არ აქვს ანგარიშის მფლობელს ასეთი სერტიფიკატი, აშშ-ს მოქალაქეობიდან გასვლის მიუხედავად; ან

(ბ) მიზეზი იმისა თუ რატომ არ მოიპოვა ანგარიშის მფლობელმა აშშ-ს მოქალაქეობა დაბადებისას.

ბ) იქ, სადაც ანგარიშის მფლობელის ინფორმაცია შეიცავს მიმდინარე აშშ-ს საფოსტო ან საცხოვრებელ მისამართს, ან ერთ ან მეტ აშშ-ს ტელეფონის ნომერს, რომლებიც წარმოადგენს ერთადერთ ტელეფონის ნომრებს, რომლებიც ასოცირებულია ანგარიშთან, ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) ფინანსური დაწესებულება მოიპოვებს, ან წინასწარ გადახედავს და შეინახავს ჩანაწერს შემდეგზე:

(1) თვით-დამოწმება მასზედ, რომ ანგარიშის მფლობელი არ არის არც აშშ-ს მოქალაქე არც აშშ-ს რეზიდენტი, საგადასახადო მიზნებისთვის, (რაც, შესაძლებელია, იყოს საერთაშორისო შემოსავლების სამსახურის ფორმა W-8-ზე, ან სხვა მსგავს შეთანხმებულ ფორმაზე); და

(2) დოკუმენტალური მტკიცებულება, როგორც ეს განსაზღვრულია ამ დანართი I-ის IV განყოფილების პარაგრაფ „დ“-თი, რომელიც ადასტურებს ანგარიშის მფლობელის არა აშშ სტატუსს.

გ) იქ, სადაც ანგარიშის მფლობელის ინფორმაცია შეიცავს აშშ-ში შენახულ ანგარიშზე თანხის გადარიცხვის მუდმივმოქმედ ინსტრუქციებს, ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) ფინანსური დაწესებულება მოიპოვებს, ან მანამდე გადახედილი აქვს და ინახავს ჩანაწერებს შემდეგზე:

(1) თვით-დამოწმება მასზედ, რომ ანგარიშის მფლობელი არ არის არც აშშ-ს მოქალაქე, არც აშშ-ს რეზიდენტი, საგადასახადო მიზნებისთვის, (რაც, შესაძლებელია, იყოს საერთაშორისო შემოსავლების სამსახურის ფორმა W-8-ზე, ან სხვა მსგავს შეთანხმებულ ფორმაზე); და

(2) დოკუმენტალური მტკიცებულება, როგორც ეს განსაზღვრულია ამ დანართი I-ის IV განყოფილების პარაგრაფ „დ“-თი, რომელიც ადასტურებს ანგარიშის მფლობელის არა აშშ სტატუსს.

დ) იქ, სადაც ანგარიშის მფლობელის ინფორმაცია შეიცავს ამჟამად ძალაში მყოფ მინდობილობას ან ხელმოწერის უფლებამოსილებას მინიჭებულს პირისთვის, რომელსაც აშშ-ში აქვს საცხოვრებელი ადგილის მისამართი; ან „დროებითი (დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) საფოსტო“ ან „ფოსტის შენახვის“ მისამართი, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ მისამართს, განსაზღვრულს ანგარიშის მფლობელისთვის, ან აქვს ერთი ან მეტი აშშ-ს ტელეფონის ნომერი (იმ შემთხვევაში, თუ არა აშშ-ს ტელეფონის ნომერი, ასევე, ასოცირებულია ანგარიშთან), ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის საფუძველზე საქართველოს ფინანსური დაწესებულება მოიპოვებს, ან მანამდე გადახედილი და შენახული აქვს ჩანაწერი შემდეგზე:

(1) თვით-დამოწმება მასზედ, რომ ანგარიშის მფლობელი არ არის არც აშშ-ს მოქალაქე, არც აშშ-ს რეზიდენტი, საგადასახადო მიზნებისთვის, (რაც, შესაძლებელია, იყოს საერთაშორისო შემოსავლების სამსახურის ფორმა W-8-ზე, ან სხვა მსგავს შეთანხმებულ ფორმაზე); ან

(2) დოკუმენტალური მტკიცებულება, როგორც ეს განსაზღვრულია ამ დანართი I-ის IV განყოფილების პარაგრაფ „დ“-თი, რომელიც ადასტურებს ანგარიშის მფლობელის არა აშშ სტატუსს.

გ. დამატებითი პროცედურები, რაც გამოიყენება იმ წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიშების მიმართ, რომლებიც წარმოადგენს დაბალი ღირებულების ანგარიშებს.

1. იმ წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიშების გადახედვა, რომლებიც წარმოადგენს აშშ-ს განმასხვავებელი ნიშნებისთვის დაბალი ღირებულების ანგარიშებს, უნდა დასრულდეს 2016 წლის 30 ივნისამდე.

2. თუ გარემოებები იცვლება იმ წინასწარ არსებულ ინდივიდუალურ ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს დაბალი ღირებულების ანგარიშს, რაც იწვევს ერთ ან მეტ აშშ-ს განმასხვავებელ ნიშანს, რომელიც აღწერილია ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „ბ“(1)-ში, რომელიც ასოცირებულია ანგარიშთან, მაშინ ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა მიაკუთვნოს ეს ანგარიში აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოიყენება ამ განყოფილების ქვეპარაგრაფი „ბ“(4).

3. ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „ა“(4)-ში აღწერილი სადეპოზიტო ანგარიშების გარდა, ნებისმიერი წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიში, რომლის იდენტიფიცირებაც მოხდა აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშად, ამ განყოფილების შესაბამისად, მიკუთვნებული იქნება აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშს, ყველა მომდევნო წლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ანგარიშის მფლობელი წყვეტს სპეციფიცირებულ აშშ-ს პიროვნებად ყოფნას.

დ. გაძლიერებული გადახედვის პროცედურები იმ წინასწარ გასაზღვრული ინდივიდუალური ანგარიშებისთვის, რომლებსაც 2014 წლის 30 ივნისის ან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ან ყოველი მომდევნო წლის მდგომარეობით, აქვთ 1,000,000 აშშ დოლარზე მეტი საბალანსო ღირებულება ან ღირებულება („მაღალი ღირებულების ანგარიშები“).

1. ელექტრონული ჩანაწერის ძიება. ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველომ) ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა გადახედოს ელექტრონულად საძიებო მონაცემებს, რომლებიც შენახულია ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსური დაწესებულების მიერ ნებისმიერი აშშ-ს განმასხვავებელი ნიშნისთვის, რომლებიც აღწერილია ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „ბ“(1)-ში.

2. ქაღალდის ჩანაწერის ძიება. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსური დაწესებულების ელექტრონულად საძიებო მონაცემთა ბაზები შეიცავს შესაბამის დარგებს და მოიცავს ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „დ“(3)-ში აღწერილ ინფორმაციას, მაშინ შემდგომი ქაღალდის

ჩანაწერების მიება აღარ იქნება საჭირო. როდესაც ელექტრონული მონაცემთა ბაზები არა სრულად მოიცავს ამ ინფორმაციას, მაღალი ღირებულების ანგარიშთან მიმართებაში, ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებამ, ასევე, უნდა გადახედოს მიმდინარე კლიენტთა საძიებო მონაცემთა ბაზას და იმ მოცულობით, რომელსაც არ შეიცავს მიმდინარე კლიენტთა საძიებო მონაცემთა ბაზა, შემდეგ დოკუმენტებს, რომლებიც ასოცირებულია ანგარიშთან და მოპოვებულია ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსური დაწესებულების მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „ბ“(1)-ში აღწერილი ნებისმიერი აშშ-ს განმასხვავებელი ნიშნებისთვის:

ა) ანგარიშთან დაკავშირებით შეგროვებულ უახლეს დოკუმენტალურ მტკიცებულებას;

ბ) უახლეს ანგარიშის გახსნის კონტრაქტს ან დოკუმენტს;

გ) AML/KYC (“ანტი-ფულადი სახსრების გათეთრებ“-ის/„იცოდე შენი კლიენტი“-ის) პროცედურებთან დაკავშირებით ან სხვა მარეგულირებელი მიზნებისთვის, ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) ფინანსური დაწესებულების უახლეს დოკუმენტაციას;

დ) ნებისმიერ ამჟამად ძალაში მყოფ მინდობილობას ან ხელმოწერის უფლებამოსილების მიმნიჭებელ ფორმას; და

ე) ნებისმიერ მუდმივმოქმედ ინსტრუქციას მიმდინარე თანხების გადარიცხვაზე.

3. გამონაკლისები, სადაც მონაცემთა ბაზები შეიცავს საკმარის ინფორმაციას. ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურ დაწესებულებას არ მოეთხოვება ამ განყოფილების ქვეპარაგრაფი „დ“(2)-ით გათვალისწინებული ქაღალდის ჩანაწერების წარმოება, იმ შემთხვევაში თუ ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსური დაწესებულების ელექტრონულად საძიებო ინფორმაცია შეიცავს შემდეგს:

ა) ანგარიშის მფლობელის ეროვნებას ან ბინადრობის სტატუსს;

ბ) ანგარიშის მფლობელის ამჟამად რეგისტრირებულ საცხოვრებელ მისამართს და საფოსტო მისამართს ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) ფინანსურ დაწესებულებასთან;

გ) ანგარიშის მფლობელის ამჟამად რეგისტრირებულ ტელეფონის ნომერს (ნომრებს), ასეთის არსებობის შემთხვევაში, ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურ დაწესებულებასთან;

დ) მონაცემებს მასზედ, რომ არსებობს თუ არა მუდმივმოქმედი ინსტრუქციები ანგარიშზე არსებული თანხის სხვა ანგარიშზე გადასარიცხად (მათ შორის, ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსური დაწესებულების სხვა ფილიალში ან სხვა ფინანსურ დაწესებულებაში, ანგარიშზე გადასარიცხად);

ე) მონაცემები მასზედ, რომ არსებობს თუ არა მიმდინარე „დროებითი (დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) საფოსტო“ ან „ფოსტის შენახვის“ მისამართი ანგარიშის მფლობელისთვის; და

ვ) მონაცემები მასზედ, რომ არსებობს თუ არა რაიმე მინდობილობა ან ხელმოწერის უფლებამოსილება ამ ანგარიშისთვის.

4. ურთიერთობების მენეჯერის მიმართვა ფაქტობრივი ცოდნისთვის. ზემოთ აღწერილ ელექტრონულ და ქაღალდის ჩანაწერის ძიებებთან ერთად, ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებამ ნებისმიერი მაღალი ღირებულების ანგარიში, რომელიც მიწერილია ურთიერთობათა მენეჯერზე (მათ შორის, ნებისმიერი ფინანსური ანგარიშები დაჯგუფებული ასეთი მაღალი ღირებულების ანგარიშებით), უნდა მიაკუთვნოს აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშს იმ შემთხვევაში თუ ურთიერთობების მენეჯერს აქვს ფაქტობრივი ცოდნა მასზედ, რომ ანგარიშის მფლობელი არის სპეციფიცირებულ აშშ-ს პიროვნება.

5. აშშ-ს განმასხვავებელი ნიშნების პოვნის ეფექტი.

ა) იმ შემთხვევაში, თუ ამ განყოფილების ქვეპარაგრაფი „ბ“(1)-ით გათვალისწინებული არცერთი განმასხვავებელი ნიშანი არ არის აღმოჩენილი ზემოთ აღწერილი მაღალი ღირებულების ანგარიშების გაძლიერებულ გადახედვაში, და ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „დ“(4)-ში ანგარიში არ არის იდენტიფიცირებული როგორც აშშ-ს სპეციფიცირებული პიროვნების მფლობელობაში მყოფი ანგარიში, მაშინ აღარ არის საჭირო შემდგომი მოქმედებების განხორციელება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არის ცვლილება გარემოებებში, რომლებიც იწვევს ერთი ან მეტი აშშ-ს განმასხვავებელი ნიშნის ასოცირებას ანგარიშთან.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ს ნებისმიერი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც მოცემულია ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „ბ“(1)-ში, აღმოჩენილია ზემოთ აღწერილი მაღალი ღირებულების ანგარიშების გაძლიერებულ გადახედვაში, ან თუ სახეზეა შემდგომი ცვლილება გარემოებებში, რომელიც შედეგად იწვევს ერთი ან მეტი აშშ-ს განმასხვავებელი ნიშნის ასოცირებას ანგარიშთან, მაშინ ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა მიაკუთვნოს ანგარიში აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშს, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც ის აირჩევს მიმართოს ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „ბ“(4)-ს და ამ ქვეპარაგრაფში ერთ-ერთი გამოწვევის გამოიყენება ამ ანგარიშთან მიმართებაში.

გ) ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „ა“(4)-ში აღწერილი დეპოზიტური ანგარიშების გარდა, ნებისმიერი წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიში, რომელიც იდენტიფიცირებულ იქნა აშშ ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშად, ამ განყოფილების თანახმად, ყველა მომდევნო წელს, მიკუთვნებული იქნება აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ანგარიშის მფლობელი წვევს სპეციფიცირებულ აშშ-ს პიროვნებად ყოფნას.

ე. მაღალი ღირებულების ანგარიშების მიმართ გამოსაყენებელი დამატებითი პროცედურები.

1. თუ, 2014 წ. 30 ივნისის მდგომარეობით, წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიში წარმოადგენს მაღალი ღირებულების ანგარიშს, ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებამ, 2015 წლის 30 ივნისამდე, უნდა დაასრულოს ამ განყოფილების პარაგრაფ „დ“-ში აღწერილი გაძლიერებული გადახედვის პროცედურები ასეთ ანგარიშებთან მიმართებაში. თუ ამ გადახედვაზე დაფუძნებით, 2014 წლის 31 დეკემბერს ან ამ თარიღამდე, ასეთი ანგარიში იდენტიფიცირებულია როგორც აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიში, ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა წარადგინოს ასეთი ანგარიშის შესახებ საჭირო ინფორმაცია 2014 წელთან მიმართებაში, ანგარიშის თაობაზე პირველ ანგარიშში და, შესაბამისად, ყოველწლიურად. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ანგარიშის იდენტიფიცირება აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშად 2014 წლის 31 დეკემბრის შემდგომ და 2015 წლის 30 ივნისს, ან უფრო ადრე, ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურ დაწესებულებას არ მოეთხოვება 2014 წელთან მიმართებაში ამგვარი ანგარიშის თაობაზე ინფორმაციის წარდგენა, მაგრამ უნდა წარადგინოს ინფორმაცია ანგარიშის თაობაზე, შესაბამისად, ყოველწლიურად.

2. იმ შემთხვევაში, თუ, 2014 წ. 30 ივნისის მდგომარეობით, წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიში არ წარმოადგენს მაღალი ღირებულების ანგარიშს და ხდება მაღალი ღირებულების ანგარიში 2015 წლის ბოლო დღის ან ნებისმიერი შემდგომი კალენდარული წლის მდგომარეობით, ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებამ, ასეთ ანგარიშებთან მიმართებაში, უნდა დაასრულოს ამ განყოფილების პარაგრაფ „დ“-ში აღწერილი გაძლიერებული გადახედვის პროცედურები, ანგარიშის მაღალი ღირებულების ანგარიშად გახდომის წლის ბოლო კალენდარული დღის მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ამ გადახედვაზე დაფუძნებით, ასეთი ანგარიში იდენტიფიცირებულია როგორც აშშ-ს გადახედვას დაქვემდებარებული ანგარიში, ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა წარადგინოს საჭირო ინფორმაცია ასეთი ანგარიშის თაობაზე იმ წელთან დაკავშირებით, რომელ წელშიდაც ის იდენტიფიცირებულია აშშ-ს ანგარიშგებას

დაქვემდებარებულ ანგარიშად და მომდევნო წლებთან დაკავშირებითაც, ყოველწლიურად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ანგარიშის მფლობელი წყვეტს სპეციფიცირებულ აშშ-ს პიროვნებად ყოფნას.

3. როდესაც ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსური დაწესებულება მაღალი ღირებულების ანგარიშის მიმართ გამოიყენებს ამ განყოფილების პარაგრაფ „დ“-ში აღწერილ პროცედურებს, ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურ დაწესებულებას არ მოეთხოვება ასეთი პროცედურების ხელახლა გამოყენება იგივე მაღალი ღირებულების ანგარიშის მიმართ ნებისმიერ მომდევნო წელს, გარდა ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „დ“(4)-ში აღწერილი ურთიერთობის მენეჯერის მოთხოვნისა.

4. იმ შემთხვევაში, თუ მაღალი ღირებულების ანგარიშთან დაკავშირებით, მოხდა ცვლილება გარემოებებში, რომლებიც იწვევს ამ განყოფილების პარაგრაფი „ბ“(1)-ით გათვალისწინებული ერთი ან მეტი აშშ-ს განმასხვავებელი ნიშნის ასოცირებას მოცემულ ანგარიშთან, მაშინ ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა მიაკუთვნოს ანგარიში აშშ-ს ანგარიშებას დაქვემდებარებულ ანგარიშს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის აირჩევს ამ განყოფილების ქვეპარაგრაფი „ბ“(4)-ის გამოყენებას და ამ ქვეპარაგრაფის ერთ-ერთი გამონაკლისი გამოიყენება ამ ანგარიშთან დაკავშირებით.

5. ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა განახორციელოს პროცედურები, რათა უზრუნველყოს ურთერთობების მენეჯერის მიერ ანგარიშის გარემოებებში ნებისმიერი ცვლილების იდენტიფიცირება. მაგალითად, თუ ურთერთობების მენეჯერს შეატყობინეს, რომ ანგარიშის მფლობელს აქვს საფოსტო მისამართი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურ დაწესებულებას მოეთხოვება მიაკუთვნოს ახალი მისამართი გარემოებების ცვლილებას და იმ შემთხვევაში თუ ის აირჩევს ამ განყოფილების პარაგრაფი „ბ“(4)-ის გამოყენებას, მან ანგარიშის მფლობელისგან უნდა მოიპოვოს სათანადო დოკუმენტაცია.

ვ. წინასწარ არსებული ინდივიდუალური ანგარიშები, რომლებიც დოკუმენტალურადაა ასახული სხვა კონკრეტული მიზნებისთვის. ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურ დაწესებულებას, რომელმაც წინასწარ მოიპოვა დოკუმენტაცია ანგარიშის მფლობელისგან, ანგარიშის მფლობელის სტატუსის არც აშშ-ს მოქალაქედ და არც აშშ-ს რეზიდენტად განსაზღვრის მიზნით, კომპეტენტური შუალედური, შემაკავებელი უცხოური პარტნიორობის, ან შემაკავებელი უცხოური კრედიტის შესახებ შეთანხმება, გაფორმებული საერთაშორისო შემოსავლების სამსახურთან, ან აშშ-ს კოდექსის 61-ე თავის 26-ე ტიტულით გათვალისწინებული, თავისი ვალდებულებების შესრულების მიზნით, არ მოეთხოვება დაბალი ღირებულების ანგარიშებთან მიმართებაში, ამ განყოფილების პარაგრაფი „ბ“(1)-ით გათვალისწინებული პროცედურების შესრულება, ან მაღალი ღირებულების ანგარიშებთან მიმართებაში - ამ განყოფილების პარაგრაფი „დ“(1)-დან „დ“(3)-ის ჩათვლით შესაბამისად.

III. ახალი ინდივიდუალური ანგარიშები. ფიზიკური პირების მფლობელობაში არსებული და 2014 წლის 1 ივლისს ან შემდგომ პერიოდში („ახალი ინდივიდუალური ანგარიშები“) გახსნილ ფინანსურ ანგარიშებს შორის აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიშების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენება შემდეგი წესები და პროცედურები:

ა. ანგარიშები, რომლებიც არ საჭიროებენ გადახედვას, იდენტიფიცირებას ან წარდგენას. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსური დაწესებულება აირჩევს სხვაგვარად მოქცევას, როგორც ყველა ახალი ინდივიდუალური ანგარიშის თუ, ცალკე აღებული, ნებისმიერი მკვეთრად განსაზღვრული ასეთი ანგარიშების ჯგუფის მიმართ, სადაც განმახორციელებელი წესები (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) ითვალისწინებს ასეთ არჩევას, შემდეგი ახალი ინდივიდუალური ანგარიშები არ საჭიროებს აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშებად გადახედვას, იდენტიფიცირებას, ან წარდგენას:

1. სადეპოზიტო ანგარიში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებისმიერი კალენდარული წლის დასასრულს, ან ნებისმიერ სხვა სათანადო საანგარიშო პერიოდში, ანგარიშის ბალანსი აჭარბებს 50,000 აშშ დოლარს.

2. ფულადი სახსრების დაზღვევის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებისმიერი კალენდარული წლის დასასრულს, ან ნებისმიერ სხვა სათანადო საანგარიშო პერიოდში ფულადი სახსრების ღირებულება აჭარბებს 50,000 აშშ დოლარს.

ბ. სხვა ახალი ინდივიდუალური ანგარიშები. ამ განყოფილების პარაგრაფ „ა“-ში აღუწერელ ახალ ინდივიდუალურ ანგარიშებთან მიმართებაში, ანგარიშის გახსნისას (ან იმ კალენდარული წლის დასრულებიდან 90 დღის შემდეგ, როცა ამ განყოფილების პარაგრაფ „ა“-ში აღწერილი ანგარიშის აღწერის შეჩერება მოხდა), ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა მოიპოვოს თვით-დამოწმება, რომელიც შესაძლოა იყოს ანგარიშის გახსნის დოკუმენტაციის ნაწილი, რომელიც ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურ დაწესებულებას საშუალებას აძლევს, საგადასახადო მიზნებისთვის (ამ მიზნისთვის, აშშ-ს მოქალაქე ითვლება აშშ-ში მცხოვრებად, საგადასახადო მიზნებისთვის, მაშინაც, როცა ანგარიშის მფლობელი არის სხვა იურისდიქციის საგადასახადო რეზიდენტი) განსაზღვროს არის თუ არა ანგარიშის მფლობელი აშშ-ს რეზიდენტი და დაადასტუროს ამგვარი თვითდამოწმების საფუძვლიანობა, რომელიც ეყრდნობა ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსური დაწესებულების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ამ ანგარიშის გახსნასთან დაკავშირებით, მათ შორის, ნებისმიერ დოკუმენტაციას შეგროვებულს AML/KYC („ანტი-ფულადი სახსრების გათეთრებ“-ის/„ივოდე შენი კლიენტი“-ის) პროცედურების შესაბამისად.

1. იმ შემთხვევაში, როცა თვით-დამოწმება ამტკიცებს, რომ ანგარიშის მფლობელი წარმოადგენს აშშ-ში რეზიდენტს საგადასახადო მიზნებისთვის, ანგარიშის წარმდგენმა

(უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა მიაკუთვნოს ანგარიში აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშს და მოიპოვოს თვით-დამოწმება, რომელიც მოიცავს ანგარიშის მფლობელის აშშ-ს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერს (რომელიც შეიძლება იყოს საერთაშორისო შემოსავლების სამსახურის ფორმა W-9 ან სხვა მსგავსი შეთანხმებული ფორმა).

2. თუ სახეზეა გარემოებების ცვლილება ახალ ინდივიდუალურ ანგარიშთან მიმართებაში, რომელიც აიძულებს ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურ დაწესებულებას იცოდეს ან ჰქონდეს მიზეზი იცოდეს, რომ თავდაპირველი თვითდამოწმება არ არის არასწორი ან არასანდო, ანგარიშის წარმდგენი (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსური დაწესებულება ვერ დაეყრდნობა თავდაპირველ თვითდამოწმებას და უნდა მოიპოვოს ვარგისი თვითდამოწმება, რომელიც ამტკიცებს რამდენად არის ანგარიშის მფლობელი აშშ-ს მოქალაქე ან რეზიდენტი, აშშ-ს საგადასახადო მიზნებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის წარმდგენ (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) საქართველოს ფინანსურ დაწესებულებას არ ძალუძს განახორციელოს ვარგისი თვითდამოწმება, ანგარიშის წარმდგენმა (უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესაბამისად საქართველო) ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა მიაკუთვნოს ანგარიში აშშ-ს ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშს.

IV. პირის ადრე არსებული ანგარიშები. აშშ საანგარგებო ანგარიშებისა და პირთა მფლობელობაში ადრე არსებულ ანგარიშთა („პირის ადრე არსებული ანგარიშები“) შორის არამონაწილე ფინანსური დაწესებულებების ხელთ არსებული ანგარიშების მიმართ ვრცელდება შემდეგი წესები და პროცედურები.

ა. პირის ანგარიშები, რომელთაც არ ესაჭიროებათ განხილვა, იდენტიფიცირება და ანგარიშგება. გარდა იმ შემთხვევისა, თუ ანგარიშის წარმდგენი [საქართველო] ფინანსური ინსტიტუტი სხვაგვარად არ აირჩევს - ყველა ადრე არსებული პირის ანგარიშის ან, ცალკე, ამ ანგარიშთა რომელიმე მკაფიოდ იდენტიფიცირებული ჯგუფის ასპექტით, სადაც მაიმპლემენტირებელი წესები [საქართველო] უზრუნველყოფილია ამგვარი არჩევანისთვის, ადრე არსებული პირის ანგარიში სალდო ანგარიშთან ან იმ ღირებულებასთან, რაც არ აღემატება 250,000 აშშ დოლარს 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, არ საჭიროებს განხილვას, იდენტიფიცირებას და ანგარიშგებას აშშ საანგარიშგებო ანგარიშის რანგში იქამდე, სანამ სალდო ანგარიშის მოცულობა ან ღირებულება 1,000,000 აშშ დოლარს არ გადააჭარბებს.

ბ. პირის ანგარიშები, რომლებიც განხილვას ექვემდებარება. ყველა ადრე არსებული პირის ანგარიში, რომელსაც გააჩნია სალდო ანგარიში ან ღირებულება, რომელიც აღემატება 250,000 აშშ დოლარს 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, და ადრე არსებული პირის ანგარიში, რომლის ოდენობაც არ აღემატება 250,000 აშშ დოლარს 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მაგრამ მისი სალდო ანგარიში ან ღირებულება მეტია

1,000,000 აშშ დოლარზე 2015 წლის ბოლო დღის მდგომარეობით, დაექვემდებარება განხილვას ამ სექციის „დ“ პარაგრაფში მითითებული პროცედურების შესაბამისად.

გ. პირის ანგარიშები, რომლის თვისაც აუცილებელია ანგარიშგება. ამ სექციის „ბ“ პარაგრაფში აღწერილი ადრე არსებული პირის ანგარიშების ასპექტით, მხოლოდ ის ანგარიშები, რომლებსაც ფლობს ერთი ან მეტი პირი და რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ აშშ კონკრეტულ პირებს ან პასიურ NFFE-ებს ერთი ან მეტი აშშ მოქალაქე ან რეზიდენტი მაკონტროლებელი პირით, განხილულ იქნება, როგორც აშშ ანგარიშგებადი ანგარიშები. გარდა ამისა, ანგარიშები, რომელსაც ფლობენ არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტები, განხილვებიან, როგორც ანგარიშები, რომელთათვისაც აგრეგირებული ანგარიშსწორება, რაც ხელშეკრულების 4-ე მუხლის 1(ბ) ქვეპარაგრაფშია აღწერილი, ეცნობება (ანგარიშის სახით წარდგენილ იქნება) [საქართველო] კომპეტენტური ორგანოს.

დ. მიმოხილვის პროცედურები იმ პირის ანგარიშების დასადგენად, რომელთა მიმართაც მოითხოვება ანგარიშგება. ამ სექციის „ბ“ პარაგრაფში აღწერილი ადრე არსებული პირის ანგარიშების ასპექტით, ანგარიშის წარმდგენმა [საქართველო] ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა უნდა გამოიყენოს შემდეგი ქვემოთ მითითებული განხილვის პროცედურები, რათა დაადგინოს, ანგარიშს ერთი ან მეტი დაზუსტებული აშშ პირი ფლობს, პასიური NFFE-ები ერთი ან მეტი მაკონტროლებელი პირებით, რომლებიც აშშ მოქალაქეები ან რეზიდენტები არიან თუ არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტები, კერძოდ:

1. განსაზღვროს, თუ არა პირი არის დაზუსტებული/დაკონკრეტებული აშშ პირი.

ა) ინფორმაციის მიმოხილვა, რომელიც (ინფორმაცია) იწარმოება მარეგულირებელი ან კლიენტებთან ურთიერთობის მიზნით (მათ შორის, იმ ინფორმაციისა, რომელიც შეგროვებულია AML/KYC პროცედურების თანახმად), რათა დადგინდეს, ინფორმაციის მიუთითებს თუ არა იმ ფაქტს, რომ ანგარიშის მფლობელს წარმოადგენს აშშ პირი. ამ მიზნით, ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს, რომ ანგარიშის მფლობელი არის აშშ პიროვნება, თავის მხრივ, კორპორაციის ან ორგანიზაციის ადგილსამყოფელს აშშ-ში ან აშშ მისამართს;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის თანახმად, ანგარიშის მფლობელი არის აშშ პირი, ანგარიშის წარმდგენი (ანგარიშმგებელი)[საქართველო] ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია მოეპყროს ანგარიშს ისე, როგორც აშშ. ანგარიშსაგებ ანგარიშს, მანამ, სანამ იგი არ მიიღებს თვით-სერთიფიცირებას ანგარიშის მფლობელისაგან (რომელიც შეიძლება იყოს IRS ფორმა W-8 ან W-9 ან მსგავსი შეთანხმებული ფორმა), ან გონივრულად განსაზღვრავს მის მფლობელობაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე ან საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომ ანგარიშის მფლობელი არ არის დაზუსტებული/დაკონკრეტებული აშშ პირი.

2. განსაზღვროს, მიეკუთვნება თუ არა არა-აშშ ერთეული ფინანსურ ინსტიტუტს.

ა) ინფორმაციის მიმოხილვა, რომელიც (ინფორმაცია) იწარმოება მარეგულირებელი ან კლიენტებთან ურთიერთობის მიზნით (მათ შორის, იმ ინფორმაციისა, რომელიც

შეგროვებულია AML / KYC პროცედურების თანახმად), რათა დადგინდეს, მიუთითებს თუ არა ინფორმაცია, რომ ანგარიშის მფლობელს წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტი;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის თანახმად, ანგარიშის მფლობელს წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტი, ან ანგარიშის წარმდგენი (ანგარიშმცემელი) [საქართველო] ფინანსური ინსტიტუტი ადასტურებს ანგარიშის მფლობელის გლობალური საშუაშაგლო საიდენტიფიკაციო ნომრის არსებობას გამოქვეყნებულ IRS FFI სიაში, მაშინ ანგარიში არ წარმოადგენს აშშ საანგარიშგებო ანგარიშს.

3. განსაზღვროს, ფინანსური ინსტიტუტი/დაწესებულება არის თუ არა არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტი, რომლის მიმართაც ანგარიშსწორებანიწარმოადგენს აგრეგირებული ანგარიშგების საგანს ხელშეკრულების 4-ე მუხლის 1(ბ) ქვეპუნქტის მიხედვით.

ა) ამ სექციის „დ“ ქვეპარაგრაფის (3)(ბ) ქვეპარაგრაფის შესაბამისად, ანგარიშმცემელ საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტს შეუძლია განსაზღვროს და დაადგინოს, რომ ანგარიშის მფლობელი არის საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ან სხვა პარტნიორი იურისდიქციის ფინანსური ინსტიტუტი, თუ ანგარიშმცემელ საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი გონივრულად დაადგენს, რომ ანგარიშის მფლობელს გააჩნია ამგვარი სტატუსი ანგარიშის მფლობელის გამოქვეყნებულ IRS FFI სიაში შეტანილი გლობალური საშუაშაგლო საიდენტიფიკაციო საფუძველზე, ან სხვა ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია, ან საქართველოს ფინანსური ინსტიტუტის მიერ მფლობელობის საფუძველზე - საჭიროებისდა მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, ანგარიშთან მიმართებაში აღარ მოითხოვება შემდგომი განხილვა, იდენტიფიკაცია ან ანგარიშგება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის მფლობელი არის საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი/დაწესებულება ან სხვა პარტნიორი იურისდიქციის ფინანსური ინსტიტუტი/დაწესებულება, რომელსაც IRS განიხილავს არამონაწილე ფინანსურ ინსტიტუტად, ანგარიში არ არის აშშ საანგარიშგებო ანგარიში, მაგრამ ანგარიშსწორებები ანგარიშის მფლობელის მიმართ ანგარიშგებულ/შეტყობინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების 4-ე მუხლის 1(ბ) ქვეპარაგრაფის შესაბამისად;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის მფლობელი არ არის საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ან სხვა პარტნიორი იურისდიქციის ფინანსური ინსტიტუტი, მაშინ ანგარიშმცემელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტის მიერ ანგარიშის მფლობელი განხილულ უნდა იქნეს, როგორც არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტი, რომლის მიმართაც გადახდები/ანგარიშსწორებები ანგარიშსაგებია ხელშეკრულების 4-ე მუხლის 1(ბ) ქვეპარაგრაფის შესაბამისად, თუკი ანგარიშმცემელი საქართველოს საფინანსო ინსტიტუტი:

(1) არ მიიღებს თვით-სერტიფიცირებას (რომელიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი IRS ფორმის W-8 ან მსგავსი შეთანხმებული ფორმით) იმ ანგარიშის მფლობელისაგან, რომელიც სერტიფიცირებულია და განიხილება FFI-შესაბამისად, ან გამოთავისუფლებული ბენეფიციარული მფლობელისაგან, რომლის პირობებიც განსაზღვრულია შესაბამისი აშშ საბაზინო რეგულაციებით, ან:

(2) იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე FFI ან რეგისტრირებული FFI-შესაბამის ადასტურებს ანგარიშის მფლობელის გლობალური საშუაშაგლო საიდენტიფიკაციო ნომრის არსებობას IRS FFI-ის გამოქვეყნებულ სიაში.

4. განსაზღვროს, არის თუ არა NFFE-ის მფლობელობაში არსებული ანგარიში აშშ საანგარიშმგებლო ანგარიში. მანამდე არსებული პირის ანგარიშის მფლობელი ანგარიშის ასპექტით, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული აშშ პირად ან ფინანსურ ინსტიტუტად, ანგარიშმგებელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია განსაზღვროს: (i) ჰყავს თუ არა ანგარიშის მფლობელს მკონტროლებელი პირები, (ii) არის თუ არა ანგარიშის მფლობელი პასიური NFFE და (iii) არის თუ არა ანგარიშის მფლობელის რომელიმე მკონტროლებელი პირი აშშ მოქალაქე ან რეზიდენტი. ამ დადგენა/განსაზღვრისას ანგარიშმგებელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია დაიცვას ამ სექციის „დ“(4) ქვეპარაგრაფიდან „დ“(4)(დ)-მდე (ჩათვლით) გათვალისწინებული სახელმძღვანელო მითითებები ამ გარემოებათა ყველაზე მისაღები გზით;

ა) ანგარიშის მფლობელის მკონტროლებელი პირების განსაზღვრის მიზნებისათვის, ანგარიშმგებელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი შეიძლება დაეყრდნოს ინფორმაციას, რომელიც შეგროვებული და წარმოებულია AML/KYC პროცედურების შესაბამისად;

ბ) იმ მიზნით, რათა განისაზღვროს, ანგარიშის მფლობელი პასიური NFFE-ია თუ არა, ანგარიშმგებელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია მიიღოს თვითსერთიფიცირება (რომელიც შეიძლება იყოს IRS ფორმა W-8 ან W-9 ან მსგავსი შეთანხმებული ფორმა) ანგარიშის მფლობელისაგან, რათა დაადგინოს თავისი სტატუსი, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი იგი ფლობს ისეთ ინფორმაციას საკუთრებაში ან თუ ისეთი ინფორმაციაა საჯაროდ ხელმისაწვდომი, რომლის საფუძველზეც შეიძლება გონივრულად განისაზღვროს, რომ ანგარიშის მფლობელი არის აქტიური NFFE.

გ) იმის დასადგენად, პასიური NFFE-ის მკონტროლებელი პირი არის თუ არა აშშ მოქალაქე ან რეზიდენტი საგადასახადო მიზნებისათვის, ანგარიშმგებელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი შეიძლება დაეყრდნოს შემდეგს:

(1) ინფორმაცია, რომელიც შეგროვებულია და წარმოებს AML/KYC პროცედურების შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ ადრეული პირის ანგარიში, რომელსაც ფლობს ერთი ან მეტი NFFE, სალდო ანგარიშითა და ღირებულებით არ აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს; ან

(2) თვით-სერთიფიცირება (რომელიც შეიძლება იყოს IRS ფორმა W-8 ან W-9, ან მსგავსი შეთანხმებული ფორმა) იმ ანგარიშის მფლობელისაგან ან ამგვარი მკონტროლებელი პირისაგან იმ შემთხვევაში, თუ ადრეული პირის ანგარიში, რასაც ფლობს ერთი ან მეტი NFFE, სალდო ანგარიშითა და ღირებულებით აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს;

დ) იმ შემთხვევაში, თუ პასიური NFFE-ის მკონტროლებელი პირი არის აშშ მოქალაქე ან რეზიდენტი, ანგარიშის განიხილება აშშ საანგარიშმგებლო ანგარიშად.

ე. მანამდე არსებული პირის ანგარიშებისადმი მოქმედი დამატებითი პროცედურებისა და განხილვის დრო

1. ადრე არსებული პირის ანგარიშების მიმოხილვა, როდესაც ამ ადრე არსებული პირის ანგარიშები ანგარიშის სალდოთი ან ღირებულებით აღემატება 250,000 აშშ დოლარს 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, უნდა დასრულდეს 2016 წლის 30 ივნისს;

2. ადრე არსებული პირის ანგარიშების მიმოხილვა, როდესაც ამ ადრე არსებული პირის ანგარიშები ანგარიშის სალდოთი ან ღირებულებით არ აღემატება 250,000 აშშ დოლარს 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, არამედ აჭარბებს 1,000,000 აშშ დოლარს 2015 წლის ან რომელიმე მომდევნო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უნდა იმ ბოლო კალენდარული წლის ბოლო დღიდან ექვსი თვის განმავლობაში, რომლის მანძილზეც სალდო ანგარიშმა და ღირებულებამ გადააჭარბა 1,000,000 აშშ დოლარს.

3. თუ არსებობს გარემო ცვლილებები ადრე არსებული პირის ანგარიშის მიმართ, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ანგარიშშემგებელ [საქართველოს] ფინანსურ ინსტიტუტს, იცოდეს, ან აქვს მიზეზი, რათა იცოდეს, რომ თვით-სერთიფიცირება ან ანგარიშთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არის არასწორი ან არასანდო, ანგარიშშემგებელი [საქართველოს] ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია, ხელახლა განსაზღვროს ანგარიშის სტატუსი ამ სექციის „დ“ პარაგრაფით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

V. ახალი პირის ანგარიშები. აშშ ანგარიშშემგებელი ანგარიშებისა და პირთა მფლობელობაში ფინანსურ ანგარიშთა შორის არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტების მფლობელობაში არსებულ ანგარიშებზე, რომლებიც გახსნილია 2014 წლის 1-ლი ივლისის შემდგომ („ახალი პირის ანგარიშები“) ვრცელდება შემდეგი წესები და პროცედურები:

ა. პირის ანგარიშები, რომელთაც არ ესაჭიროებათ განხილვა, იდენტიფიცირება და ანგარიშგება. გარდა იმ შემთხვევისა, თუ ანგარიშის წარმდგენი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი სხვაგვარად არ აირჩევს - ყველა ადრე არსებული პირის ანგარიშის ან, ცალკე, ამ ანგარიშთა რომელიმე მკაფიოდ იდენტიფიცირებული ჯგუფის ასპექტით, სადაც მაიმპლემენტირებული წესები საქართველოს უზრუნველყოფილია ამგვარი არჩევანისთვის, საკრედიტო ბარათის ანგარიში ან განახლებადი საკრედიტო საშუალება, რომელიც განიხილება, როგორც ახალი პირის ანგარიში, არ საჭიროებს განხილვას, იდენტიფიცირებას და ანგარიშგებას, იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიშშემგებელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი რომელიც ამ ანგარიშს ინარჩუნებს, ახორციელებს სტრატეგიებს/პოლისებსა და პროცედურებს, რათა აღკვეთოს, რომ ანგარიშის მფლობელისადმი მართებულმა სალდომ არ გადააჭარბოს 50,000 აშშ დოლარს;

ბ. სხვა ახალი პირის ანგარიშები. რაც შეეხება ახალი პირის ანგარიშებს, რომლებიც არ არის აღწერილი ამ სექციის „ა“ პარაგრაფში, ანგარიშშემგებელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია განსაზღვროს, ანგარიშის მფლობელი : (i) დაზუსტებული აშშ პირია; (ii) საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ან სხვა პარტნიორი იურისდიქციისა ფინანსური ინსტიტუტი; (iii) მონაწილე FFI, რომელიც განიხილება FFI-შესაბამისად, ან გამოთავისუფლებული ბენეფიციალური მფლობელი, რომელთა პირობებიც განსაზღვრულია აშშ შესაბამისი სახაზინო რეგულაციებით; თუ (iv) აქტიური NFFE ან პასიური NFFE.

1. ამ სექციის ბ(2) ქვეპუნქტის შესაბამისად, ანგარიშშემგებელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტის მიერ შეიძლება განისაზღვროს, რომ ანგარიშის მფლობელი არის აქტიური NFFE, საქართველოს საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ან სხვა პარტნიორი იურისდიქციის საფინანსო ინსტიტუტი, თუ ანგარიშშემგებელი საქართველოს ფინანსური

ინსტიტუტი გონივრულად დაადგენს, რომ ანგარიშის მფლობელი ფლობს ასეთ სტატუსს ანგარიშის მფლობელის გლობალური საშუაშაგლო საიდენტიფიკაციო ნომრის ან სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე ან ანგარიშმშენებელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტის მფლობელობაში არსებობის საფუძველზე - საჭიროების მიხედვით;

2. თუ ანგარიშის მფლობელი არის საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ან სხვა პარტნიორი იურისდიქციის ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც განიხილება IRS-ის მიერ, როგორც არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტი, მაშინ ანგარიში არ იქნება აშშ საანგარიშგებო ანგარიში, არამედ გადახდები/ანგარიშსწორებები ანგარიშის მფლობელის მიმართ შეტყობინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების 4-ე მუხლის 1(ბ) ქვეპარაგრაფის შესაბამისად;

3. ყველა სხვა შემთხვევაში, ანგარიშმშენებელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია, მიიღოს თვით-სერთიფიცირება ანგარიშის მფლობელისაგან, რათა დაადგინოს ანგარიშის მფლობელის სტატუსი. თვით-სერთიფიცირების საფუძველზე ამოქმედდება შემდეგი წესები:

ა) იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის მფლობელი არის დაზუსტებული/დაკონკრეტებული აშშ პირი, ანგარიშმშენებელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია განიხილოს ანგარიში, როგორც აშშ საანგარიშგებო ანგარიში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის მფლობელი არის პასიური NFFE, ანგარიშმშენებელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია განსაზღვროს და დაადგინოს მაკონტროლებელი პირები, როგორც ეს განსაზღვრულია AML/KYC პროცედურების შესაბამისად და განსაზღვროს, არის თუ არა ასეთი პირი ამერიკის მოქალაქე ან რეზიდენტი ანგარიშის მფლობელის ან პირისაგან თვით-სერთიფიცირების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი პირი არის აშშ მოქალაქე ან რეზიდენტი, ანგარიშმშენებელი [საქართველოს] ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია განიხილოს ანგარიში, როგორც აშშ საანგარიშგებო ანგარიში;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის მფლობელი არის: (i) აშშ პირი, რომელიც არ არის დაზუსტებული/დაკონკრეტებული აშშ პირი; (ii) ბ(3) ქვეპარაგრაფის დებულებათა მიხედვით - საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ან სხვა პარტნიორი იურისდიქციის ფინანსური ინსტიტუტი; (iii) მონაწილე FFI, რომელიც განიხილება FFI- შესაბამისად, ან გამოთავისუფლებული ბენეფიციალური მფლობელი, რომლის პირობებიც განსაზღვრულია აშშ შესაბამისი სახაზინო დებულებებით, (iv) აქტიური NFFE; ან (v) პასიური NFFE, რომლის არცერთი მაკონტროლებელი პირი არ არის აშშ მოქალაქე ან რეზიდენტი, მაშინ ანგარიში არ წარმოადგენს აშშ საანგარიშგებო ანგარიშს და ამ ანგარიშთან მიმართებაში არ იქნება მოთხოვნილი ანგარიშგება; დ) იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის მფლობელი არის არამონაწილე საფინანსო ინსტიტუტი (მათ შორის, საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ან სხვა პარტნიორის იურისდიქციის ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც IRS-ის მიერ განიხილება, როგორც არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტი), მაშინ ანგარიშზე არ წარმოადგენს აშშ საანგარიშგებო ანგარიშს, მაგრამ

ანგარიშსწორებები/გადახდები ანგარიშის მფლობელის მიმართ შეტყობინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების 4-ე მუხლის 1(ბ) ქვეპარაგრაფის შესაბამისად.

VI. სპეციალური წესები და განმარტებები. შემდეგი დამატებითი წესები და განმარტებები გამოიყენება ზემოთ აღწერილი პროცედურები გულდასმით განხორციელებაში:

A. თვით-მოწმობის და დოკუმენტური მტკიცებულებების სანდოობა. სააღრიცხვო ფინანსური დაწესებულება საქართველოს შეიძლება არ დაეყრდნოს თვითდამოწმებას ან დოკუმენტური მტკიცებულებას თუ საქართველოს ფინანსურ დაწესებულებამ იცის ან აქვს მიზეზი იცოდეს, რომ თვითმოწმობა ან დოკუმენტური მტკიცებულება არის არასწორი ან არასანდო.

B. განმარტებები. შემდეგი ტერმინები გამოიყენება დანართი I მიზნებისათვის

1. **AML/KYC პროცედურები.** "AML/KYC პროცედურები" ნიშნავს მომხმარებლის გულდასმით განხორციელებულ პროცედურებს საქართველოს ფინანსური დაწესებულებებში ფულის გათეთრების ან იმ მსგავსი მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს, რომელსაც საქართველოს ფინანსური დაწესებულება ექვემდებარება.

2. **NFFE.** "NFFE" ნიშნავს ნებისმიერ Non- U.S. სუბიექტს, რომელიც არ არის FFI როგორც განსაზღვრულია აშშ-ს ბაზინის რეგულაციებში ან არის სუბიექტი როგორც აღწერილია ამ ნაწილის ქვეპუნქტში B (4) (ვ) და ასევე მოიცავს ნებისმიერ Non- US სუბიექტს, რომელიც დადგენილია საქართველოში ან სხვა პარტნიორის იურისდიქციაში და რომელიც არ არის ფინანსური დაწესებულება.

3. **Passive NFFE.** "პასიური NFFE" ნიშნავს ნებისმიერ NFFE , რომელიც არ არის (i) აქტიური NFFE , ან (ii) გაჩერებული საგარეო ამხანაგობა ან გაჩერებული საგარეო რწმუნებულობა შესაბამისი ამერიკის ბაზინის რეგულაციების თანახმად.

4. **Active NFFE .** "Active NFFE" ნიშნავს ნებისმიერ NFFE, რომელიც აკმაყოფილებს ნებისმიერ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) NFFE მთლიანი შემოსავლის 50 პროცენტზე ნაკლები წინა კალენდარული წლის მდგომარეობით ან სხვა შესაბამის საანგარიშო პერიოდში არის პასიური შემოსავალი და NFFE-ის აქტივების 50 პროცენტზე ნაკლები , წინა კალენდარული წლის მდგომარეობით ან სხვა შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის წარმოადგენს აქტივებს რომელიც აწარმოებს ან გამოიყენება პასიური შემოსავლის წარმოებისთვის;

ბ) NFFE ფონდი რეგულარულად ვაჭრობს დადგენილი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ან NFFE არის იმ სუბიექტის დაკავშირებული სუბიექტი, ვისი ფონდიც რეგულარულად ახდენს ვაჭრობას დადგენილი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე;

გ) NFFE ორგანიზებულია ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე და გადამხდელის ყველა მფლობელი არის აშშ ტერიტორიაზე კეთილსინდისიერი მოსახლეობა;

დ) NFFE არის ხელისუფლება (გარდა ამერიკის მთავრობისა), აღნიშნული ხელისუფლებისპოლიტიკური ქვედანაყოფი (რომელიც, ეჭვის თავიდან მოცილებისთვის, მოიცავს სახელმწიფოს, პროვინციას, ქვეყნას, ან მუნიციპალიტეტს), ან საჯარო ორგანო რომელიც ახორციელებს ასეთი ხელისუფლების ან პოლიტიკური ქვედანაყოფის ფუნქციას, ხელისუფლება აშშ ტერიტორიაზე, საერთაშორისო ორგანიზაცია, US-ს გარეთ ცენტრალური ბანკი, ან სუბიექტი რომელიც ერთი ან მეტი ზემოაღნიშნულის მთლიანად საკუთრებაშია;

ე) არსებითად NFFE ყველა საქმიანობა ითვალისწინებს (მთლიანად ან ნაწილობრივ) ერთი ან მეტი შვილობილი კომპანიების გამოშვებულ და მოძრაობაში მყოფ აქციებს, ან დაფინანსების უზრუნველყოფას და მომსახურების გაწევას, რომ ჩაერთონ ფინანსური დაწესებულების ბიზნესის გარდა სხვა ბიზნესში თუ გარიგებებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა NFFE არ სარგებლობს ამ სტატუსით თუ NFFE ფუნქციონირებს (ან წარმოადგენს), როგორც საინვესტიციო ფონდი , როგორიცაა კერძო ინვესტირების ფონდი, სარისკო კაპიტალის ფონდი, კრედიტით შემენის ფონდი , ან ნებისმიერი საინვესტიციო მანქანა , რომლის მიზანია შეიძინოს ან დააფინანსოს კომპანიების და შემდეგ კი მიიღოს პროცენტები ამ კომპანიებში როგორც კაპიტალის აქტივები საინვესტიციო მიზნებისათვის;

ვ) NFFE ჯერ-ჯერობით არ აწარმოებს ბიზნესს და არ აქვს წინა ოპერაციული ისტორია, მაგრამ ახდენს კაპიტალის ინვესტირებას აქტივებში ბიზნესის წარმოების მიზნისთვის გარდა ფინანსური დაწესებულების ბიზნესისა, იმ პირობით, რომ NFFE არ ისარგებლებს ამ გამოწვევით NFFE თავდაპირველი ორგანიზების თარიღიდან 24 თვის შემდეგ;

ზ) NFFE არ იყო ფინანსური დაწესებულება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და ამჯერად არის მისი აქტივები ლიკვიდაციის პროცესში ან ახდენს რეორგანიზაციას ბიზნესის გაგრძელების ან ხელახლა წამოწყების მიზნით გარდა, რომ ფინანსური დაწესებულების ბიზნესისა;

თ) NFFE პირველ რიგში ეწევა დაფინანსებას და ჰეჯირების ოპერაციებს იმ დაკავშირებულ სუბიექტებთან , რომლებიც არ არიან ფინანსური დაწესებულებები და არ სთავაზობენ ფინანსურ ან ჰეჯირების მომსახურებას ნებისმიერ სუბიექტს, რომელიც არ არის დაკავშირებული სუბიექტი, იმ პირობით, რომ ნებისმიერი ასეთი დაკავშირებული სუბიექტების ჯგუფი თავდაპირველად დაკავებულია ბიზნესში გარდა ფინანსური დაწესებულების ბიზნესისა;

ი) NFFE არის "გამონაკლისი NFFE", როგორც ეს აღწერილია შესაბამის ამერიკის ბაზინის რეგულაციებში; ან

კ) NFFE აკმაყოფილებს ყველა შემდეგ მოთხოვნებს:

i. იგი დაფუძნებულია და მოქმედებს მისი საცხოვრებელი ადგილმდებარეობის იურისდიქციის თანახმად განსაკუთრებით რელიგიური, საქველმოქმედო, სამეცნიერო, მხატვრული, კულტურული, სპორტული, ან სასწავლო მიზნებისათვის; ან იგი დაფუძნებულია და მოქმედებს მისი საცხოვრებელი ადგილმდებარეობის იურისდიქციის თანახმად და ეს არის პროფესიული ორგანიზაცია, ბიზნეს ლიგა, სავაჭრო პალატა, შრომის ორგანიზაცია, სასოფლო ან სამებადუო ორგანიზაცია, სამოქალაქო ლიგა ან ორგანიზაცია რომელიც ექსკლუზიურად მუშაობს სოციალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად;

ii. იგი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან მისი საცხოვრებელი ადგილმდებარეობის იურისდიქციის ფარგლებში;

iii. მას არ ყავს აქციონერები ან წევრები, რომლებსაც აქვთ საკუთრების ან სასარგებლო ინტერესი მისი შემოსავალში ან აქტივებში;

iv. საცხოვრებელი ადგილმდებარეობის NFFE იურისდიქციის მოქმედი კანონმდებლობით ან NFFE მიერ ჩამოყალიბებული დოკუმენტები არ იძლევა ნებართვას, რომ NFFE ნებისმიერი შემოსავალი ან აქტივები გადანაწილდეს, ან გამოყენებულ იქნას კერძო პირის ან არასამთავრობო საქველმოქმედო სუბიექტისთვის, გარდა NFFE საქველმოქმედო საქმიანობის ჩატარებისა, ან როგორც გაწეული მომსახურების გონივრული კომპენსაცია, ან გადასახადი რომელიც წარმოადგენს საკუთრების რეალურ საბაზრო ღირებულებას, რომლის NFFE-მ შეიძინა; და

v. საცხოვრებელი ადგილმდებარეობის NFFE იურისდიქციის მოქმედი კანონმდებლობა ან NFFE მიერ ფორმირების დოკუმენტები მოითხოვს, რომ, იმ NFFE ლიკვიდაციის ან დაშლის შემთხვევაში, მისი ყველა აქტივები გადანაწილდეს სამთავრობო სუბიექტებზე ან სხვა არაკომერციული ორგანიზაციებზე, ან გადასცეს საცხოვრებელი ადგილმდებარეობის NFFE იურისდიქციის მთავრობას ან რომელიმე პოლიტიკურ ქვედანაყოფს.

5. მანამდე არსებული ანგარიში. "მანამდე არსებული ანგარიში" ნიშნავს ფინანსურ ანგარიშს რომელიც შესრულებულია საქართველოს ანგარიშვალდებულ ფინანსურ ინსტიტუტების მიერ 2014 წ. 30 ივნისისათვის.

გ. ანგარიშზე სალდოს დაგროვება და ვალუტის გადაცვლის წესები.

1. ინდივიდუალური ანგარიშების შეგროვება. იმისათვის რომ განესაზღვროთ ფინანსური ანგარიშების ოდენობა ან საერთო ნაშთი რომელიც ეკუთვნის ფიზიკურ პირს, ფინანსური დაწესებულების საქართველოს ვალდებულია, შეაგროვოს ყველა ფინანსური ანგარიშები

რომელიც წარმოებულია ფინანსური დაწესებულებების საქართველოს მიერ ან დაკავშირებული სუბიექტების მიერ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს ფინანსური დაწესებულების კომპიუტერული სისტემები უკავშირდება ფინანსური ანგარიშებს მონაცემთა ელემენტის მითითებით, როგორც კლიენტის ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, და საშუალებას იძლევა რომ შეგროვდეს ანგარიშების ნაშთი ან ოდენობები. ერთობლივი ფინანსური ანგარიშის ყოველი მფლობელს მიეწერება ერთობლივად ჩატარებული ფინანსური ანგარიშის მთელი ბალანსი ან ღირებულება პარაგრაფი 1-ში აღწერილი აგრეგაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

2. სუბიექტის ანგარიშების დაგროვება. სუბიექტის ფინანსური ანგარიშების საერთო ბალანსის ან ღირებულების განსაზღვრისთვის ფინანსური დაწესებულება საქართველოს ვალდებულია, გაითვალისწინოს ყველა ფინანსური ანგარიშები, რომლებიც წარმოებულია ფინანსური დაწესებულების მიერ საქართველოს ან შესაბამისი სუბიექტის მიერ, მაგრამ მხოლოდ იმის გათვალისწინებით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს ფინანსური დაწესებულების კომპიუტერული სისტემები უკავშირდება ფინანსური ანგარიშებს მონაცემთა ელემენტის მითითებით, როგორც კლიენტის ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, და საშუალებას იძლევა რომ შეგროვდეს ანგარიშების ნაშთი ან ოდენობები.

3. სპეციალური დაგროვების წესი რომელიც მოქმედია დაკავშირებული მენეჯერებისთვის. პირის ფინანსური ანგარიშების საერთო ბალანსის ან ღირებულების განსაზღვრისთვის რათა დადგინდეს ფინანსური ანგარიში არის თუ არა მაღალი ღირებულების ანგარიში, ფინანსური დაწესებულება საქართველოს ვალდებულია, ნებისმიერი ფინანსური ანგარიშების შემთხვევაში, რომელიც მენეჯერმა იცის ან აქვს მიზეზი რომ იცოდეს, ან პირდაპირ ან არაპირდაპირ არის პირის საკუთრებაში, გაკონტროლებულია ან დადგენილია პირის მიერ, შეაგროვოს ყველა ასეთი ანგარიშები.

4. ვალუტის გადაცვლის წესი. ფინანსური ანგარიშების ღირებულების ან ბალანსის განსაზღვრის მიზნით რომელიც დომინირებს კურსებში გარდა აშშ დოლარისა ფინანსური დაწესებულება საქართველოს ვალდებულია გარდაქმნას აშშ დოლარის ოდენობა, რომელიც აღწერილია 1 დანართში ისეთ ვალუტაში სადაც გამოიყენებს წინა კალენდარული წლის ბოლო დღისთვის გამოქვეყნებულ კურსს სადაც [საქართველოს] ფინანსური დაწესებულება განსაზღვრავს ბალანსს ან ღირებულებას.

დ. დოკუმენტური მტკიცებულება. დანართის I-ის მიზნებისთვის, მისაღები დოკუმენტური მტკიცებულება მოიცავს ნებისმიერ შემდეგ პირობებს:

1. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან (მაგალითად, მთავრობის ან საგენტოდან, მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული) იმ იურისდიქციის თანახმად, სადაც გადამხდელი არის რეზიდენტი.

2. ფიზიკურ პირთან დაკავშირებით, ნებისმიერი მოქმედი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, რომელიც გაცემულია უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ (მაგალითად, მთავრობის ან სააგენტოდან, მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული), რომელშიც შედის ფიზიკური პირის სახელი და ჩვეულებრივ გამოიყენება იდენტიფიცირების მიზნით.

3. სუბიექტთან დაკავშირებით, ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტაცია რომელიც გაცემულია უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ (მაგალითად, მთავრობის ან სააგენტოდან, მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული), რომელშიც შედის სუბიექტის სახელწოდება ან მისი სათაო ოფისის მისამართი იმ იურისდიქციის დარგლებში, რომელშიც ის აცხადებს, რომ არის რეზიდენტი (ან აშშ ტერიტორია), ან იმ იურისდიქციის (ან აშშ ტერიტორია) ფარგლებში, სადაც სუბიექტი რეგისტრირებულია ან ორგანიზებულია.

4. რაც შეეხება ფულის გათეთრების წესებით იურისდიქციაში უზრუნველყოფილ ფინანსურ ანგარიშებს, რომელიც დამტკიცებულია IRS-ით (შიდა შემოსავლების მომსახურებით) QI შეთანხმებასთან დაკავშირებით (როგორც ეს აღწერილია შესაბამის ამერიკის ხაზინის დებულებაში) მისაღება ნებისმიერი დოკუმენტი, გარდა ფორმა W- 8 ან W- 9, რომელიც მითითებულია QI შეთანხმებასთან თანდართულ იურისდიქციის დანართში ფიზიკური პირების ან სუბიექტების იდენტიფიცირებისთვის.

5. ნებისმიერი ფინანსური ანგარიშგება, მესამე მხარის საკრედიტო ანგარიში, გაკოტრების შესახებ განცხადება, ან აშშ ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟის კომისიის მიერ გაცემული ანგარიში.

ე. ალტერნატიული პროცედურები ფინანსური ანგარიშებისთვის რომელიც ჩატარებულია ფულადი ღირებულების სადაზღვევო ხელშეკრულების ინდივიდუალური ბენეფიციარების მიერ. ფინანსური დაწესებულებამ საქართველოს შეიძლება ივარაუდოს, რომ ფულადი ღირებულების სადაზღვევო ხელშეკრულების ინდივიდუალური ბენეფიციარი (მფლობელის გარდა), რომელიც იღებს ფულად კომპენსაციას გარდაცვალების შემთხვევაში, არ არის კონკრეტული აშშ პიროვნება და არ შეუძლია გამოიყენოს ასეთი ფინანსური ანგარიში, როგორც აშშ ანგარიში, ვიდრე ფინანსურ დაწესებულება არ მიიღებს ინფორმაციას ან აქვს მიზეზი რომ იცოდეს, რომ ბენეფიციარი არის მითითებული აშშ პირი. ფინანსური დაწესებულებას [საქართველოს] მიზეზი აქვს იცოდეს, რომ ფულადი ღირებულების სადაზღვევო ხელშეკრულების ინდივიდუალური ბენეფიციარი არის მითითებული აშშ პირი თუკი ფინანსური დაწესებულების მიერ შეგროვილი ინფორმაცია და იფორმაცია რომელიც დაკავშირებულია აშშ-ს იდენტიფიკატორის მქონე ბენეფიციართან, როგორც ეს აღწერილია ქვეპუნქტით (B) (1). თუ ფინანსური დაწესებულებას საქართველოს აქვს ფაქტობრივი ინფორმაცია, რომ ბენეფიციარი არის დაკონკრეტებული აშშ პირი, ფინანსური დაწესებულებამ საქართველოს უნდა დაიცვას დანართის I-ის ნაწილი II-ის ქვეპუნქტის B (3) შემდეგი პროცედურები.

ვ. მესამე მხარეზე დაყრდნობა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ჩატარდა დანართის I-ის ნაწილი I-ის პუნქტი C-ს თანახმად, საქართველოს შეიძლება ნება დართოს ფინანსურ დაწესებულებას საქართველოს დაეყრდნონ მესამე მხარის მიერ განხორციელებულ პროცედურებს, შესაბამისი ამერიკის ხაზინის დებულების თანახმად.

ზ) ალტერნატიული პროცედურები იმ ახალ ანგარიშებზე რომლებიც გაიხსნა ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე

1. გამოყენება. თუ ქართული მხარემ მიაწოდა წერილობითი შეტყობინება შეერთებული შტატების მხარეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე 2014 წლის 1 ივლისამდე, და საქართველოს არ გააჩნდა იურიდიული საფუძვლები რომ მოეთხოვა ანგარიშგებას დაქვემდებარებული ქართული ფინანსური დაწესებულებისგან ან: (i) რომ მოეთხოვა ახალი ანგარიშის მფლობელებისათვის თვით-სერთიფიცირება დანართი I მე-3 ნაწილის თანახმად ან (ii) ყველა იმ სალიკირო პროცედურის განსახორციელებლად, რომელიც დაკავშირებულია ახალი ერთეულების ანგარიშებთან ამ დანართის მე-5 ნაწილის შესაბამისად. ამ შემთხვევაში ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ქართულ ფინანსურ დაწესებულებას შეუძლია მიმართოს ალტერნატიულ პროცედურებს, რომელიც აღწერილია ამ ნაწილის ზ (2) ქვეპუნქტში იმ გარემოებების შესაბამისად, რაც დაკავშირებულია ახალ ანგარიშებთან და იმ პროცედურების შესაბამისად რომელიც გამომდინარეობს წინამდებარე დანართიდან. ის ალტერნატიული პროცედურები, რომელიც აღწერილია ამ ნაწილის ზ (2) ქვეპუნქტში მიესადაგება მხოლოდ იმ ახალ ინდივიდუალურ ანგარიშებს ან ახალი ერთეულების ანგარიშებს იმ გარემოებების შესაბამისად რომელიც დაკავშირებულია იმ ანგარიშებთან რომელიც გახსნილია: (i) იმ თარიღამდე როდესაც ქართულ მხარეს აქვს შესაძლებლობა მოსთხოვოს ქართულ ფინანსურ დაწესებულებებს დაიცვან დანართი I-ის მე-3 ან მე-5 ნაწილში აღწერილი სათანადო შემოწმების პროცედურები. იმ გარემოებების შესაბამისად რა დროითაც საქართველო მიაწვდის წერილობით შეერთებული შტატების მხარეს იმ თარიღისათვის რა დროსაც წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში იქნება შესული, ან (ii) წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის. თუ ალტერნატიული პროცედურები ახალი ერთეულების ანგარიშებისათვის, რომლებიც გახსნილია 2014 წლის 1 ივლისამდე ან მას შემდეგ და 2015 წლის 1 იანვრამდე, რომლებიც აღწერილია ამ ნაწილის თ პუნქტში, გამოიყენება ყველა ახალი ერთეულების ანგარიშების ან ნათლად იდენტიფიცირებული ჯგუფების მსგავსი ანგარიშებისათვის. ზ პუნქტში აღწერილი ალტერნატიული პროცედურების გამოყენება არ შეიძლება მსგავსი ახალი ერთეულების ანგარიშებთან დაკავშირებით. ყველა სხვა ასეთი ახალი ანგარიშისათვის, ანგარიშგებას დაქვემდებარებულმა ქართულმა ფინანსურმა დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ სათანადო შემოწმები პროცედურები რომელიც აღწერილია ამ დანართის მე-3 ან მე-5 ნაწილში, საჭიროების შესაბამისად, იმის დასადგენად მიეკუთვნება თუ არა ანგარიში შეერთებული შტატებისათვის ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშს, ან არის თუ არა ეს ანგარიში ანამონაწილე ფინანსური დაწესებულების კუთვნილებაში.

2) ალტერნატიული პროცედურები

- ა) წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში, საქართველოს ანგარიშშვებელი ფინანსური სტრუქტურა/ინსტიტუტი/ უნდა: (i) ახალი ინდივიდუალური ანგარიშის გათვალისწინებით რომელიც აღწერილია ამ ნაწილის (G) 1 ქვეპუნქტში, ითხოვს თვით სერთიფიცირებას რომელიც განმარტებულია 1 დანართის მესამე ნაწილში (section 3) და ამტკიცებს თვითსერთიფიცირების გონივრულობას და შესაბამისობას

პროცედურებთან რაც აღწერილია 1 დანართის მესამე ნაწილში (section iii), და (ii) ახალი სუბიექტის ანგარიშთან დაკავშირებით რომელიც აღწერილია G(1), და ანხორციელებენ სათანადო შერჩევის პროცედურებს (due diligence procedures) რაც განსაზღვრულია ამ დანართის მეხუთე თავში (section V) ან მოითხოვოს ინფორმაცია ანგარიშის დოკუმენტების საჭიროებისამებრ, მათ შორის თვითსერთიფიცირებისთვის, როგორც მოთხოვნილია ამ დანართის მეხუთე თავში.

ბ) საქართველომ უნდა აწარმოოს ანგარიშგება ყოველი ახალი ანგარიშის რომელიც მიჩნეულია ასეთად ამ თავის G2 ქვემუხლის შესაბამისად როგორც ამერიკის ანგარიშგებადი ანგარიში (reportable account) ან როგორც ანგარიში რომელსაც ფლობს არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტი, იმ დროისთვის როდესაც: (i) 30 მას შემდეგ რაც ანგარიშის იდენტიფიცირება მოხდება როგორც არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტის, შესაბამისად, ანგარიშგებადი ანგარიში ან 90 დღის შემდეგ რაც მოხდება ანგარიშის იდენტიფიცირება როგორც ამერიკული ანგარიშგებადი ანგარიშის ან ანგარიშის რომელსაც ფლობს არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტი შესაბამისად (as applicable), ინფორმაცია რომელიც საჭიროებს ანგარიშგებას მსგავს ანგარიშებთან დაკავშირებით არის ნებისმიერი ინფორმაცია რომლის შესახებ მოხდებოდა ანგარიშგება ამ შეთანხმების თანახმად იმ შემთხვევაში როდესაც ახალი ანგარიში იდენტიფიცირდება როგორც შეერთებული შტატების ანგარიშგებადი ანგარიში ან ანგარიში რომელსაც ფლობს არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტი, იმ თარიღის შესაბამისად როდესაც მოხდა ამ ანგარიშის გახსნა/დარეგისტრირება (opened).

გ) იმ თარიღისთვის რაც არის ერთი წელი ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან, ანგარიშგებადმა ქართულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა დახურონ ყველა ახალი ანგარიში რომელიც აღწერილია G1 ქვეპუნქტში ამ თავის რომლისთვისაც მათ ვერ შეძლეს თვითსერთიფიცირების ან სხვა დოკუმენტაციის შეგროვება იმ პროცედურათა შესაბამისად რაც აღწერილია G2 ქვეპუნქტში ამ თავის (section). დამატებით, იმ თარიღისთვის, რაც არის ერთი წელი ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან, ანგარიშგებადმა ქართულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა: (i) იმ დახურულ ანგარიშებთან დაკავშირებით რომლებიც მანამდე წარმოადგენდნენ ახალ ინდივიდუალურ ანგარიშებს (იმის მიუხედავად წარმოადგენდნენ თუ არა ეს ანგარიშები მაღალი ღირებულების მქონე ინდივიდუალურ ანგარიშებს (High Value Accounts)), უნდა შეასრულონ სათანადო შეფასების პროცედურები (DUE DILIGENCE PROCEDURES) რაც განსაზღვრულია I დანართის მეორე თავის (section) D პუნქტში, ან (ii) იმ დახურულ ანგარიშებთან დაკავშირებით რომლებიც დახურვამდე წარმოადგენდნენ ახალი სუბიექტის/ერთეულის ანგარიშებს, ასრულებენ სათანადო შეფასების პროცედურებს რაც განსაზღვრულია I დანართის მეოთხე თავში (section iv).

დ) საქართველომ უნდა განახორციელოს ყველა იმ დახურული ანგარიშის შესახებ ანგარიშგება რომელიც იდენტიფიცირებულია ამ თავის G2 ქვეპუნქტის შესაბამისად როგორც აშშ-ს ანგარიშგებადი ანგარიში ან როგორც ანგარიში რომელსაც ფლობს არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტი, შესაბამისად, ყველაზე გვიან იმ დროისთვის რაც არის: 1) 30 სექტემბერი მას შემდეგ რაც მოხდება ანგარიშის იდენტიფიცირება როგორც აშშ-ს ანგარიშგებადი ანგარიშის ან

როგორც ანგარიშის რომელსაც ფლობს არამონაწილე ფინანსური ინსტიტუტი, შესაბამისად, იმ დროისთვის როდესაც ანგარიში გაიხსნა.

თ. ახალი ერთეულის/სუბიექტის ანგარიშები რომლებიც გაიხსნა 2014 წლის 1 ივლისს, ან მის შემდეგ და 2015 წლის პირველ იანვრამდე. ახალი ერთეულის/სუბიექტის ანგარიშები რომლებიც გაიხსნა 2014 წლის 1 ივლისს, ან მის შემდეგ და 2015 წლის პირველ იანვრამდე. ყველა ახალ ანგარიშთან დაკავშირებით ან ცალკეულად, საქართველომ შესაძლოა დართოს ნება ანგარიშებად ფინანსურ ინსტიტუტს განიხილოს მსგავსი ანგარიშები როგორც მანამდე არსებული ერთეულის/სუბიექტის ანგარიში და აწარმოოს სათანადო შერჩევის პროცედურები დაკავშირებული მანამდე არსებული ერთეულის/სუბიექტის ანგარიშებთან როგორც განსაზღვრულია ამ დანართის მეოთხე თავში (section iv) სათანადო შერჩევის პროცედურების მაგიერ როგორც განსაზღვრულია ამ დანართის მეხუთე თავში (section v). ასეთ შემთხვევაში, პირველი დანართის მეოთხე თავის (section iv) სათანადო შერჩევის პროცედურები უნდა იქნეს გამოყენებული ანგარიშზე არსებული ბალანსის გათვალისწინების ან ზღვრული ღირებულების გათვალისწინების გარეშე როგორც განსაზღვრულია ამ დანართის მეოთხე თავის (section iv) A პუნქტში.